კოლექტიური იმუნიტეტი

წითელასთან ბრძოლა საერთო პასუხისმგებლობაა



ვაქცინის აღმოჩენამდე

წითელა, ერთ-ერთი ყველაზე საშიში გადამდები დაავადებაა. ვაქცინის აღმოჩენამდე არ არსებობდა საშუალება, რომელიც დაავადების გავრცელებას შეაჩერებდა . წითელას ვირუსის გავრცელებასას, ინფიცირდებოდა ყველა ის ადამიანი, რომელსაც დაავადება გადატანილი არ ჰქონდა. გარკვეულ შემთხვევებში, დაავადებას მოჰყვებოდა სერიოზული გართულებები: პნევმონია, სიყრუე, დიარეა, ხშირი იყო გარდაცვალების შემთხვევებიც.

კოლექტიური იმუნინეტის შექმნა

წითელა სწრაფად ვრცელდება. რაც უფრო მაღალია საზოგადოებაში დაუცველი ინდივიდების რიცხვი, მით უფრო დიდია თითოეული ადამიანის დაინფიცირების რისკი. აცრილთა რაოდენობის გაზრდა , საზოგადოებაში დაავადების გავრცელების რისკს ამცირებს.

დაცვა ყველასათვის !

წითელას ვაქცინის მეშვეობით 1990 წლიდან, ჯანმოს ევროპის რეგიონში წითელას შემთხვევათა რაოდენობა 90 %-ზე მეტით შემცირდა ; თუმცა, ვირუსი მაინც ვრცელდება იქ, სადაც მისგან დაუცველ ადამიანთა რაოდენობა დიდია. ინფექციის ჯაჭვის გაწყვეტით, ვაქცინირებული ბავშვები და მოზრდილები, წითელას ვირუსით ინფიცირებისაგან იცავენ იმ ბავშვებს, რომელთაც აცრის შესაბამისი ასაკი არა აქვთ და ასევე პირებს, რომელთა ვაქცინაციაც დასუსტებული იმუნური სისტემის გამო ვერ ხერხდება. დაავადების მიმართ „კოლექტიური იმუნიტეტის“ შესაქმნელად, აუცილებელია მოსახლეობის სულ მცირე 95%-ის აცრა.

„კოლექტიური იმუნიზაცია“ იცავს მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორისაა ბავშვები და მოზრდილები, რომელთა აცრაც შეუძლებელია.

შეიტანე შენი წვლილი

#ევროპისიმუნიზაციისკვირეული

#ვაქცინამოქმედებს და გიცავს შენ
და შენ ირგვლივ მყოფ ადამიანებს !

European Immunization Week
Prevent Protect Immunize

World Health Organization
REGIONAL OFFICE FOR Europe

© WHO/3/2018